

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 115 (4109)

1970 წ. 14 ივნისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ივნისი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

ამომრჩეველთა შეხვედრა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან

ჩვენი ქვეყანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეგებება. ამ სადღესასწაულო დღეს თავისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა ხალხი ხვდება ახალი წარმატებებით კომუნისტურ მშენებლობაში.

ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა აღტაცებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვა, რომელშიც შეჯამებულია არჩევნებს შორის პერიოდში ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი სახელოვანი გზის შედეგები. გასული ოთხი წელი იყო პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის დაუცხრომელი ბრძოლის პერიოდი. საარჩევნო კამპანიის მთელი მსვლელობა, რომელშიც ერთხელ კიდევ გამოვლინდა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, გვიჩვენებს, რომ პარტიის მიერ დასახული ახალი ამოცანები აგრეთვე წარმატებით განხორციელდება.

12 ივნისს მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა კავშირის საბჭოს არჩევნების ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევთან შეხვედრას.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ა. თ. კატუშევი, ო. დ. კუნაკოვი, გ. ნ. პოლომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მოსკოვისა და ბაუმანის რაიონის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

წინასაარჩევნო კრება გახსნა სკკპ ბაუმანის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ნ. მაკეევმა.

დღევანდელი დღე დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელებისათვის, თქვა მან, — სახიბარულო დღეა ჩვენ შევიკრიბეთ აქ იმისათვის, რომ შევხვდეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ჩვენს დეპუტატობის კანდიდატს, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

მომავალ არჩევნებს, ხაზი გაუსვა ორატორმა, ჩვენი დიადი სამშობლო ეგებება სიძლიერითა და ძლევამოსილებით აღსავსე, დამჯერებლად ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის უდიდეს და უდაო უპირატესობას. მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვეს მოსკოვის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა ჩვენმა ხალხმა, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება.

ამ მოხსენებაში ღრმად იყო გაანალიზებული დიდი ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, მკაფიოდ იყო ნაჩვენები საბჭოთა ხალხის მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი, განსაზღვრული იყო ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის შემდგომი გზები. დედაქალაქის კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა დახვეს კონკრეტული ღონისძიებანი, ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემული კომუნისტური მშენებლობის ტემპის შემდგომი გაძლიერების ამოცანების შესრულებისათვის. ჩვენ აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ჩვენს დეპუტატობის კანდიდატს — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ მოსკოვის მშრომელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა განახორციელონ ეს ღონისძიებები.

ყველა ამომრჩევლის სახელით ორატორმა მხურვალე და გულითადი მადლობა გადაუხადა ლ. ი. ბრეჟნევს იმისათვის, რომ იგი დათანხმდა კენჭი იყაროს ბაუმანის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და თქვა, რომ ეს თანხმობა ოლქის ყველა მშრომელმა უდიდესი სიხარულით აღიქვა.

ჩვენ უველანი კარგად ვიცნობთ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს როგორც კომუნიზმისათვის, ჩვენი პარტიის ლენინური პოლიტიკის განხორციელებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განმტკიცებისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის დაუცხრომელ და თანმიმდევრულ მებრძოლს.

ამხანაგ ბრეჟნევის გამოსვლები პარტიის ყრილობებზე, ამბობს შემდეგ ვ. ნ. მაკეევი, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, მშრომელთა კრებებზე, საერთაშორისო თათბირებზე, ყოველთვის დიდ კმაყოფილებას იწვევს საზოგადოებრივი განვითარების პროცესების ღრმა მეცნიერული ანალიზით, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებლობით, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის მიზნებისა და ამოცანების კონკრეტული განსაზღვრით. ეს გამოსვლები შეიცავს ჩვენი ქვეყნის ყველა პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის მუშაობის გეგმებს.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოღვაწეობის შესანიშნავი თვისებაა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა პარტიისა და ხალხის წინაშე, საქმის ვითარების ლენინურად სწორად შეფასების, ჭერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე პარტიისა და ყველა მშრომელის ყურადღების მიპყრობის, კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის წარმატებითი ბრძოლის ნათელი გზებისა და საშუალებების ჩვენების უნარი.

ორატორმა რწმენა გამოთქვა, რომ 14 ივნისს ყველა ამომრჩეველი ერთხმულად მისცემს ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, რომ ეს დღე ახალი ძალით უჩვენებს მთელ მსოფლიოს საბჭოთა საზოგადოების ურღვევ ერთიანობას, ჩვენი ხალხის მჭიდრო შეკავშირებას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — მოსკოვის საავგარიშო-საბალიზური მანქანების ქარხნის ხარატმა ა. ვ. ანტროპოვმა შეკრებილთ გააცნო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ჩვენი ოლქის ამომრჩევლები, თქვა ა. ვ. ანტროპოვმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, კარგად იცნობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ბრეჟნევს. სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას — როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის მძიმე წლებში, იგი ყოველთვის პირნათლად ასრულებდა პარტიის დავალებებს. გულისხმიერი, ყურადღებიანი ხელმძღვანელობით, პარტიული პრინციპულობით, უდიდესი ორგანიზატორული ნიჭით, დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისადმი მეცნიერული მიდგომით, იმის უნარით, რომ განსაზღვროს მთავარი და ამ მთავარს მიაპყროს პარტიისა და ხალხის ძალები, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა საბჭოთა ადამიანების შორის დიდი პატივისცემა და მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა.

როგორც ნდობით აღჭურვილი პირი, თქვა დასასრულ ა. ვ. ანტროპოვმა, მოვუწოდებ ბაუმანის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ხმა მისცენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

შემდეგ გამოვიდნენ № 312 სკოლის მასწავლებელი ზ. პ. ხოტეევა, მანქანათმცოდნეობის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ა. ა. ბლაგონრავოვი, მოსკოვის რკინიგზის მოსკოვ-იაროსლავლის განყოფილების უფროსი გზის ოსტატი ვ. ხ. ერიომინი, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი ირინე იურიევა.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ ბაუმანისა და სოკოლნიკის რაიონების სარეწველო საწარმოთა კოლექტივები წარმატებით ასრულებენ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს. ვადამდე შესრულდა ხუთწლედის ოთხი წლისა და მიმდინარე წლის ხუთი თვის პროგრამა. ამ რაიონების 12 ათასზე მეტმა მუშამ უკვე შეასრულა პირადი ხუთწლედები და ახლა 1971 წლის ანგარიშში მუშაობს. გადააჭარბეს 1970 საუთბილეო წელი დამკვრელურ შრომის წლად, 7 ნოემბრისათვის შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა — ასეთია მოსკოველთა ნება, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა. მათ თქვეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები კომუნისტური პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულების ახალი მკაფიო დემონსტრაცია იქნება. ორატორებმა ხაზი გაუსვეს, რომ ისევე როგორც ერთხმად, ჩვენი პარტია არჩევნებზე გამოდის უპარტიოებთან მჭიდრო ბლოკით, რომლის ურღვევი სიმტკიცე ცხოვრებით არის შემოწმებული. გამოსულებმა რწმენა გამოთქვეს, რომ ბაუმანის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველი ერთხულოვნად მისცემს ხმას ამ ბლოკის კანდიდატებს.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. კრების მონაწილენი მას ხვდებიან ფეხზე ამდგარნი, მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

* * *

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. გამოხვლის დასკვნითს სიტყვებს კრების მონაწილენი მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ. ყველანი ფეხზე დგებიან.

ამომრჩეველთა შეხვედრა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან გადაიქცა იმის მკაფიო დემონსტრაციად, რომ მოსკოვის მშრომელები ერთხულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას.

ჟღელავთ, როგორც გაჟოცდის წინ...

„ლელო“ ინტერვიუ

დღევანდელი დღე დიდად მნიშვნელოვანია სამი მილიონი საბჭოთა ჭაბუკისა და ქალიშვილისთვის — ისინი პირველად აძლევენ ხმას. ჩვენი კორესპონდენტი ვ. ბუკინი ესაუბრა ორ მათგანს — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელს, ფრენბურთელ გიული გვერნაძეს და მწვრთნელთა სკოლის მეორეკურსელს, მძლეოსან ტატიანა შადუბნიაკს.

● რას გრძნობთ არჩევნების წინ?

— ისე ვღელავთ, თითქოს გამოცდას ვაბარებდეთ. ჩვენ ხომ პირველად მოვიხდით ამ მოქალაქეობრივ ვალს თბილისის ორჯონიკიძის 17/17 საარჩევნო უბანში.

● ვის აძლევთ ხმას?

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. ბუხრაშვილსა და ამრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველს ლ. ბანეთიშვილს.

● დიდი ბელადი ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კომკავშირელები საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილენი უნდა იყვნენ. რა შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი ინსტიტუტის კომკავშირელობაზე?

— ჩვენ აქ არ შევუდგებით ჩვენი ინსტიტუტის კომკავშირელთა წარმატებების ჩამოთვლას. დავასახელებთ მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და ევროპის რამდენიმე ჩემპიონს, მაგალითად, „კლასიკოს“ ო. ბლიაძეს, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ტ. ალიბეგაშვილს, კლდეზე მცოცავ ი. გელდიაშვილს. სჯობს ჩვენს შრომით საქმიანობაზე გიამბოთ. წლეულს ინსტიტუტის კომკავშირელები ტოლიატს გაემგზავრებიან სკკპ ცენტრალურ მშენებლობაზე. შარშან იქ ჩვენი 70 სტუდენტი შრომობდა.

● მოგწონთ თქვენი მომავალი პროფესია — მასწავლებლობა?

— რასაკვირველია. აღზარდო საბჭოთა ადამიანი — ეს საპატიო პროფესიაა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გზაზე სკოლაშივე დაგვაყენეს ჩვენმა მოძღვრებმა, გულისხმიერმა მასწავლებლებმა მ. მუდრიკმა, ო. კვანტალიანმა...

● ალბათ ახლაც ამასვე გასწავლიან ინსტიტუტში.

— დიახ. დოცენტი შ. ბუაძე, სპორტის ოსტატები რ. კაჭახიძე, ო. ეგაძე, ვ. ფოფხაძე, ე. მაროტი და სხვები გამოცდილი პედაგოგები არიან. წინასაარჩევნო დღეებში კი ისინი სასურველი სტუმრები იყვნენ ჩვენს სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში, ჩვენი უბნის ამომრჩეველთა ოჯახებში. მათი დახმარებით ბევრი საინტერესო ღონისძიება მოვაწყვეთ — ვიყავით ლენინის მუზეუმში, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, შევხვდით ძველ ბოლშევიკებს, მოვისმინეთ ლექციები არჩევნების საბჭოთა სისტემაზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, სამამულო ომის მონაწილე ქართველ გმირებზე.

● რა საჩუქარს უმზადებთ არჩევნებს?

— ეს საჩუქარი კარგი სწავლაა. ამას გარდა, ჰავჰავაძის პროსპექტზე მოვაწყობთ ფრენბურთის მოედანს და ამომრჩევლებთან ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ.

გვჯერა, რომ ახალგაზრდა ამომრჩევლები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ ვალს — ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

სტარტზეა ლაღი თაობა

დღეს იწყება მოსწავლეთა XXII რესპუბლიკური სპარტაკიადა. წლევანდელი შეჯიბრების მიზანია სასკოლო კოლექტივებში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის, აგრეთვე, რაიონული სპორტსკოლების მუშაობის შედეგების შეჯამება, ნაკრები კოლექტივების ხელახალი დაკომპლექტება. სპარტაკიადა 22 სახეობაში ჩატარდება. აქედან 17 სახეობაში ფინალური შეჯიბრებები თბილისში გაიმართება, 2 სახეობაში — სოხუმში, თითო სახეობაში — ბათუმში, დუშეთსა და რუსთავში.

სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნება 16 ივნისს, საღამოს 7 საათზე თბილისის კიროვის სახელობის პარკის სტადიონზე. ქვემოთ გთავაზობთ სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების კალენდარს.

თბილისი

პარაშუტისტა. 14—16 ივნისი. „შრომითი რეზერვების“ დარბაზი. ოქტომბრის კ. № 134. დასაწყისი 12 ს.

მძლეოსნობა. 14—17 ივნისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. ვაკე. 10 და 17 ს.

ტყვიის სროლა. 14—19 ივნისი. ავჭალის სასროლეთი. 11 ს.

ჭოგბურთი. 14—21 ივნისი. „დინამოს“ კორტები. სანაპიროს კ. № 2. 10 ს.

ბადრაკი. 14—21 ივნისი. სახლთა კლუბი. რუსთაველის პრ. № 48. 11 ს.

ცურვა. 16—19 ივნისი. „ლოკომოტივის“ აუზი. 300 არაგველის კ. № 1. 11 ს.

სპორტული ტანვარჯიში. 18—21 ივნისი. განათლების სამინისტროს ტანვარჯიშის ცენტრალური სპორტსკოლის დარბაზი. პეტრიაშვილის კ. № 7. 11 ს.

ფეხბურთი. 19—23 ივნისი. „ხიდანთლიხა“ და გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის სტადიონები. 10 ს.

თავისუფალი ჭიდაობა. 19—21 ივნისი. ფალავანთა კლუბი. ჰოვჰაჟანის პრ. № 49-ა. 11 ს.

ხელბურთი. 21—24 ივნისი. კიროვის სახელობის პარკის ხელბურთის მოედანი. 10 ს.

ფრენბურთი. 23—26 ივნისი. ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის მოედანი. პლეხანოვის პრ. № 115. 11 ს.

წყალბურთი. 23—25 ივნისი. „ლოკომოტივის“ აუზი. 11 ს.

მხატვრული ტანვარჯიში. 23—25 ივნისი. პიონერთა სახლის დარბაზი. 12 ს.

ფარიკაობა. 26—30 ივნისი. „ხიდანთლის“ დარბაზი. ტელმანის კ. № 8. 10 ს.

კლასიკური ჭიდაობა. 24—26 ივნისი. ფალავანთა კლუბი. 11 ს.

ველოსპორტი. 24—27 ივნისი. ნატახტრის გზატკეცილი. 12 ს.

წყალში ხტომა. 25—27 ივნისი. „ლოკომოტივის“ აუზი. 17 ს.

სოხუმი

კალათბურთი. 14—17 ივნისი. 10 ს.

კრივი. 14—16 ივნისი. 17 ს.

ბათუმი

მაგიდის ჩოგბურთი. 14—20 ივნისი. 11 და 17 ს.

დუშეთი

ნიჩბოსნობა. 19—21 ივნისი. 11 ს.

რუსთავი

ბადმინტონი. 14—18 ივნისი. „მეტალურგის“ დარბაზი. 11 ს.

ორი წრის შემდეგ

ასპ (რიგა)

რიგის არმიელებს გათამაშების ცხრილში IX ადგილი უკავიათ. რიგელებმა 6 შეხვედრა მოიგეს და 16 ჭაგეს (გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა 1696—1755).

	მ.	წ.	ჯ.	ქ.
1. ფრეიმანისი	16	375	62	234
2. ეგლიტისი	11	292	46	175
3. სტრელისი	15	462	33	166
4. ბალოდისი	22	395	62	163
5. ზაბელო	21	417	60	141
6. გ. მუიჭნიეკსი	22	530	75	140
7. ლეგზდინში	22	198	78	115
8. კალნინში	19	329	62	106
9. იასნუსი	22	398	87	98
10. ბირზნიეკსი	16	189	40	95
11. დავიდსი	15	277	63	65
12. სტროციხი	16	169	54	61
13. ზამუელსი	15	141	34	26
14. ზებერგსი	9	75	19	16
15. ბერგვალდსი	2	23	3	5
16. მეემალისი	2	17	4	0

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)

თბილისელი კალათბურთელები სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზე იმყოფებიან. „ბურევესტნიკმა“ 22 თამაშიდან 6 მოიგო (აქვს ბურთების შეფარდება 1581—1776).

	მ.	წ.	ჯ.	ქ.
1. პულავსკი	22	677	91	303
2. ბიჭიაშვილი	22	623	65	287
3. ჩხიკვაძე	22	715	69	224
4. მანაგაძე	22	470	81	160
5. გლურჯიძე	18	600	71	160
6. ჯუდელი	21	313	65	113
7. ძიძიგური	19	292	63	101
8. ნინიაშვილი	13	231	35	84
9. არუთინოვი	15	141	37	45
10. ი. ლექვეიშ	8	165	29	38
11. მაისურაძე	14	124	19	37
12. ფირცხალაიშვილი	5	30	7	17
13. ღიბრაძე	3	18	6	5
14. შხეიძე	2	14	3	4
15. კასრაძე	2	10	5	3

„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)

რკინიგზელებს 22 შეხვედრის შემდეგ მხოლოდ 4 ქულა აქვთ. სატურნირო ცხრილში ისინი ბოლოსწინა, XI ადგილზე არიან (ბურთების სხვაობა 1603—1798).

	მ.	წ.	ჯ.	ქ.
1. ვეისმანი	22	706	56	321
2. პეტნიაკოვი	21	574	81	316
3. ნიკიშინი	22	541	81	237
4. მალაშინი	22	732	79	216
5. სუბოტინი	22	410	68	169
6. გ. შვედოვი	21	366	36	143
7. პლატონოვი	19	528	72	82
8. კიმი	14	147	14	38
9. კუზნეკოვი	11	99	14	30
10. ვასკობოინიკოვი	10	134	21	29
11. ზელენოვი	3	26	1	8
12. ჩებოტარიოვი	2	9	4	8
13. ბ. შვედოვი	1	6	1	4
14. ხომენკო	4	25	4	2

„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)

ჩემპიონატის აუტსაიდერს მოგროვილი აქვს 3 ქულა. მან ტურნირში ყველაზე მეტი მარცხი (19) განიცადა (აქვს უარყოფითი ბალანსი 1630—1879).

	მ.	წ.	ჯ.	ქ.
1. კანდელი	22	698	76	390
2. ბოლვაჩოვი	22	649	77	357
3. ჩერნი	20	366	50	169
4. კოვალიოვი	22	462	80	155
5. სილკინი	13	391	38	108
6. ჯ. ივანოვი	19	225	50	83
7. ერიომინი	17	371	54	69
8. კოროსტილიოვი	21	380	94	68
9. კოკინი	18	186	44	67
10. დვორნი	11	152	32	56
11. მიშაკოვი	15	266	47	55
12. დიდრიხსი	13	133	27	26
13. ნიკოლაენკო	7	44	9	20
14. აზაროვი	4	19	5	7

მესამე წრის კალენდარი

როგორც ვიუწყებოდით, კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის III წრე 14 ივნისს განახლდება. გთავაზობთ შეხვედრების კალენდარს (შავი შრიფტით გამოყოფილია მატჩები საქართველოს გუნდების მონაწილეობით).

14. ასკ (კიევი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი).

15. **„დინამო“ (თბილისი)—„ბურევესტნიკი“ (თბილისი), „ლოკომოტივი“** (ალმა-ათა) — ცსკა.

17. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ასკ (კიევი), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სტროიტელი“ (კიევი).

18. „სპარტაკი“ (ლენინგრადი)—„კალევი“ (ტარტუ), **„დინამო“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი).**

19. ცსკა — ასკ (რიგა).

21. **„სპარტაკი“ (ლენინგრადი)—„ბურევესტნიკი“ (თბილისი),** ასკ (კიევი) — „კალევი“ (ტარტუ), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა).

22. „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა, **„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი),** „სტროიტელი“ (კიევი) — ასკ (რიგა).

24. ასკ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა).

25. „სპარტაკი“ (ლენინგრადი)—ცსკა, „სტროიტელი“ (კიევი) — „კალევი“ (ტარტუ), „დინამო“ (მოსკოვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), **„ბურევესტნიკი“ (თბილისი)—„ჟალგირისი“ (კაუნასი).**

26. **„დინამო“ (თბილისი) — ასკ (რიგა).**

28. „სტროიტელი“ (კიევი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი).

29. ცსკა — „კალევი“ (ტარტუ), **„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა),** ასკ (კიევი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი).

30. „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), **„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (რიგა).**

2. ივლისი. **„დინამო“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი),** „სტროიტელი“ (კიევი) — ასკ (კიევი).

3. „კალევი“ (ტარტუ) — „დინამო“ (მოსკოვი), **„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ცსკა,** „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი).

4. ასკ (რიგა) — „ჟალგირისი“ (კაუნასი).

6. **„დინამო“ (თბილისი)—„სტროიტელი“ (კიევი), „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)—„ბურევესტნიკი“ (თბილისი),** „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი).

7. ასკ (კიევი) — ცსკა, „კალევი“ (ტარტუ) — „ჟალგირისი“ (კაუნასი), ასკ (რიგა) — „დინამო“ (მოსკოვი).

10. „სპარტაკი“ (ლენინგრადი)—ასკ (რიგა), **ასკ (კიევი) — „დინამო (თბილისი),** „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) — „სტროიტელი“ (კიევი), **„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი).**

11. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (მოსკოვი).

13. „კალევი“ (ტარტუ) — ასკ (რიგა), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ცსკა.

14. **„სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი), „სტროიტელი“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი).**

15. „დინამო“ (მოსკოვი) — ასკ (კიევი).

17. ცსკა — „ჟალგირისი“ (კაუნასი), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სტროიტელი“ (კიევი), **„კალევი“ (ტარტუ) — „დინამო“ (თბილისი).**

18. „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა), ასკ (რიგა) — ასკ (კიევი).

20. „კალევი“ (ტარტუ) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი).

21. ცსკა — „სტროიტელი“ (კიევი), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი); **„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (კიევი),** ასკ (რიგა) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა).

22. **„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი).**

24. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა), **„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ),** ასკ (რიგა) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი).

26. ცსკა — **„დინამო“ (თბილისი),** „სტროიტელი“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი).

27. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი).

28. „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)—„კალევი“ (ტარტუ).

საფრთხეში ჭიდაობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1. მსაჯი ბ. ცხაკაია (თბილისი).

მატჩი სანახაობრივად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველმა ტაიმმა ვერც ერთ გუნდს ვერ მოუტანა წარმატება — 0:0. შესვენების შემდეგ ანგარიში გახსნა სამტრედიელმა მეტრეველმა და მხოლოდ მაშინ, როცა შეხვედრის დამთავრებას სულ რამდენიმე წუთი აკლდა, იურიევის ზუსტმა დარტყმამ იხსნა „გიგანტი“ დამარცხებისგან — 1:1.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ე. ძნელაძე (თბილისი).

სტუდენტებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს ინიციატივა და მე-15 წუთზე გიტანეს გოლი „ვარკეთილის“ კარში: შორიდან დარტყმული ბურთი ხელიდან გაუვარდა მეკარეს, მას მიუსწრო ბერდნიკოვმა და ზუსტად გაგზავნა კარში — 1:0. მასპინძლები არ შეუშინდნენ მარცხს, სრული მონდომებით ჩაატარეს მეორე ტაიმი და ფანტულაიამ შეძლო სპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

● „იმერეთი“ (თერჯოლა) — „ხიანი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

● „ხიდანთლე“ (თბილისი)—„ბახმარო“ (ჩოხატაური) 5:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

მართალია, თბილისელებს თავდაცვა ხელთ ეპყრათ საერთო უპირატესობა, მაგრამ ჩოხატაურელები შესვენებამდე უნარიანად იცავდნენ თავს და გაუშვეს მხოლოდ ერთი გოლი (ლორია). „ხიდანთლის“ უპირატესობა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო შესვენების შემდეგ. დევდარიანმა 1 და აივაზოვმა ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს „ბასმაროს“ კარში.

● „ხალხინო“ (გეგეჭკორი) — ასკ (თბილისი) 5:0. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).

● „შეტალურგი“ (ზესტაფონი)—„ცისკარი“ (საღნაღი) 2:0. მსაჯი ჯ. აბუთიძე (ქუთაისი).

● „ენგური“ (ზუგდიდი)—„მშენებელი“ (ბორჯომი) 3:2. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

● „სკური“ (წალენჯიხა) — „ჭართლი“ (ვორის რაიონი) 0:0. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 2:2. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 7:1. მსაჯი ა. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 14 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	21	11	7	3	46—17	29
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	19	12	5	2	38—19	29
„სკური“ (წალენჯიხა)	19	9	8	2	27—12	26
„ეგრისი“ (ცხაკაია)	20	10	6	4	30—17	26
„ხიდანი“ (თბილისი)	21	7	12	2	21—15	26
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	20	8	9	3	29—18	25
„ხიდანთლე“ (თბილისი)	20	9	6	5	32—21	24
„ხამსხე“ (აწყური)	20	7	10	3	20—18	24
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	20	9	6	5	27—29	24
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	20	7	8	5	26—19	22
„მზიური“ (გალი)	20	5	11	4	18—18	21
„ქართლი“ (გორის რაიონი)	20	5	10	5	22—28	20
„ვარკეთილი“ (გარდაბანი)	19	4	10	5	20—20	18
„ენგური“ (ზუგდიდი)	20	5	6	9	16—25	16
„ცისკარი“ (საღნაღი)	20	3	9	8	12—19	15
„გიგანტი“ (ლაითური)	20	3	9	8	16—30	15
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	20	2	11	7	16—33	15
„იმერეთი“ (თერჯოლა)	19	3	8	8	20—24	14
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	20	4	6	10	27—35	14
ასპ (თბილისი)	19	4	5	10	17—28	13
„მშენებელი“ (ბორჯომი)	19	3	5	11	17—29	11
„მესხეთი“ (ახალციხე)	20	2	5	13	16—43	9

სსრ კავშირის პირველობა

ჯუნგი...

მოსკოვში გაიმართა კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ცხკა მასპინძლობდა მინსკის დინამოელებს. გაიმარჯვეს არმიელებმა — 3:1.



უმაღლესი ლიგის ბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისია, ვისია ქალი ცაკაც?!

როგორ გათამაშდება დასკვნითი სტადია?

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირველი ნაწილი დამთავრდა. განვლილია მერვედფინალური მატჩები, ე. ი. თამაშები ჯგუფებში წრიული სისტემით, სადაც ყოველ მონაწილეს პირველი წარუმატებლობის შემთხვევაში კიდევ აქვს გარკვეული იმედი გამოასწოროს მდგომარეობა, აინაზღაუროს დანაკარგი. ახლა ეს იმედები აღარაა. გათამაშება გადადის ოლიმპიურ სისტემაზე და დამარცხების შემთხვევაში გუნდს კარგება შემდგომ მატჩებში მონაწილეობის უფლება.

თუ როგორ განაწილდა ადგილები ჯგუფებში, ყველამ კარგად იცის: I ჯგუფში — სსრ კავშირი, მექსიკა; II ჯგუფი — იტალია, ურუგვაი; III ჯგუფი — ბრაზილია, ინგლისი; IV ჯგუფი — გფრ, პერუ.

ცნობილია ისიც, თუ როგორ თამაშობენ ერთმანეთში დღეს შეთხვედფინალის მონაწილენი: მექიკოში სსრ კავშირის გუნდი ღებულობს ურუგვაელებს, ტოლუკაში (და არა პუებლაში, როგორც ეს ადრე იყო გათვალისწინებული) თამაშობენ იტალია-მექსიკა, გვადალახარაში — ბრაზილია-პერუ და ლეონში — გფრ-ინგლისი.

როგორ გაგრძელდება შემდგომში თამაშები? მექიკოს მეოთხედფინალში გამარჯვებული ხვდება გვადალახარას მეოთხედფინალში გამარჯვებულს, ხოლო ტოლუკას მეოთხედფინალში გამარჯვებული — ლეონის მეოთხედფინალში გამარჯვებულს. ეს ნიშნავს, რომ თუ, ვთქვათ, მეოთხედფინალებში გამარჯვეს სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდებმა, ისინი ერთმანეთს შორის თამაშობენ ნახევარფინალში. საინტერესოა ისიც, რომ გფრ-ინგლისის შეხვედრაში უკვე მეოთხედფინალში გამოეთიშება გათამაშებას მსოფლიოს ჩემპიონი (ინგლისი) ან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (გფრ).

ნახევარფინალური მატჩები შედგება 17 ივნისს მექიკოსა და გვადალახარაში.

ნახევარფინალში დამარცხებული 2 გუნდი ერთმანეთს შეხვდება მექიკოში 20 ივნისს III ადგილის გასარკვევად.

მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალური მატჩი შედგება მექიკოში 21 ივნისს „აცტეკის“ სტადიონზე.

ახლა რამდენიმე სიტყვა მომავალი თამაშების შესახებ. თუ მეოთხედფინალშიც და ნახევარფინალშიც ძირითადი დროის დამთავრებისას ანგარიში ფრე იქნა, დაინიშნება დამატებითი 2 ტაიმი 15-15 წუთის ხანგრძლივობით. თუ გამარჯვებული არც ამის შემდეგ გაირკვა, მოხდება კენჭისყრა. ასე მოხდება III ადგილისთვის მატჩშიც.

თუ ფინალური მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ, დაინიშნება დამატებითი 30 წუთი. თუ არც მაშინ გამოირკვა გამარჯვებული, ფინალური მატჩის გადათამაშება მოხდება 2 დღის შემდეგ, ე. ი. 23 ივნისს.

გადათამაშების შემთხვევაშიც თუ ფრე იქნა, კიდევ ერთხელ ინიშნება დამატებითი დრო — 30 წუთი და თუ ერთ-ერთი მხარის უპირატესობა არ გამოვლინდა, მსოფლიო ჩემპიონს გამოარკვევს კენჭისყრა.

როგორ მოხდება კენჭისყრა მატჩების ფრედ დამთავრების შემთხვევაში? ქაღალდებს გუნდების სახელწოდებით ჩადებენ ქუდში ან თასში სათამაშო მინდვრის ცენტრში. მატჩის მსაჯი ამოიღებს ერთ-ერთ ქაღალდს გუნდის დასახელებით და ამით გამოარკვევს გამარჯვებულს. კენჭისყრას აქვე ესწრებიან ორივე გუნდის კაპიტნები და თითო წარმომადგენელი.

დაბოლოს, მოკლედ ჩვენს მოწინააღმდეგეზე მეოთხედფინალში — ურუგვაის ნაკრებზე. ეს გუნდი სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი „გრანდია“. იგი ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი იყო (1930 და 1950 წლებში), ორჯერ — ოლიმპიური ჩემპიონი (1924 და 1928 წლებში) და 11-ჯერ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი.

ურუგვაის ნაკრებს ნ-ჯერ უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ სტადიაში, აქ მას 12 გამარჯვება აქვს მოპოვებული, 3 ფრე, 5 წაგება.

საბჭოთა ფეხბურთელებს ურუგვაის ნაკრებთან ნათამაშევი აქვთ ხუთჯერ. ხუთივე შეხვედრა მოიგო საბჭოთა გუნდმა — 2:1, 5:0, 2:1, 1:0 და 3:1. ამ ხუთი მატჩიდან ოფიციალური იყო მხოლოდ ერთი — ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში 1962 წლის 6 ივნისს — 2:1 (შეხვედრა I ქვეჯგუფში).



იდეალური ნაკრები

მექსიკაში მყოფმა უურნალისტებმა შეადგინეს მსოფლიოს უველა დროის იდეალური ნაკრები. ხმათა უმრავლესობით გუნდში მოხვდნენ: იაშინი (სსრ კავშირი), ჯ. სანტოსი (ბრაზილია), ბობიკი (უნგრეთი), რაიტი (ინგლისი), შაკეტი (იტალია), რ. ჩარლტონი (ინგლისი), ბეკენბაუერი (გფრ), მეტიუზი (ინგლისი), კელე (ბრაზილია), დი სტეფანო (არგენტინა), პუშკაში (უნგრეთი).

პერუს ფეხბურთელებმა IX მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩამოიცილეს იხეთი მრისხანე მეტოქე, როგორიც არგენტინაა და მექსიკის საგზური მიიღეს. ეს იყო ჩემპიონატის პირველი ეტაპის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია.

• • •

სურათზე: არგენტინელებთან გამარჯვების შემდეგ (1:0) პერუს ფეხბურთელებმა ხელში აიტაცეს მწვრთნელი დიდი და სტადიონზე წრე შემოუარეს.

ევროპა თუ ლათინური ამერიკა?

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ მეტად საინტერესო წინადადება წამოაყენა — მოეწყოს ორი საფეხბურთო კონტინენტის — ევროპისა და ლათინური ამერიკის ნაკრები გუნდების მატჩი. ამ იდეას მხარი დაუჭირა მთელმა სპორტულმა სამყარომ, მით უმეტეს, რომ მატჩის შემოსავალი უნდა გადაეცეთ მიწისძვრით დაზარალებულ პერუსა და რუმინეთს.

ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო დავას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ნაკრები გუნდების დონეზე ისინი არასდროს არ შეხვედრიან ერთმანეთს. ვის მხარეს გადაისრება გამარჯვების სასწორი, ძნელი სათქმელია. ისე კი ცხადია, რომ მატჩი, რომლის გამართვასაც ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ აპირებენ, IX მსოფლიო ჩემპიონატის ნამდვილი გვირგვინი იქნება.

როგორი მაჩვენებლებით დაამთავრეს ჯგუფური ტურნირები ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა? ევროპა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში 9 ქვეყნისაა წარმოდგენილი (ინგლისი, იტალია, გფრ, სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, შვეცია, ბულგარეთი, ბელგია), ლათინური ამერიკა კი ხუთით (ბრაზილია, ურუგვაი, პერუ, სალვადორი და მექსიკა). ჯგუფური ტურნირების საბოლოო შედეგებმა მეტოქეთა ძალები გაათანაბრა. მეოთხედფინალში გავიდა ევროპის 4 კოლექტივი (გფრ, ინგლისი, იტალია და სსრ კავშირი) და ამდენივე — ლათინური ამერიკიდან (ბრაზილია, პერუ, ურუგვაი და მექსიკა).

პირველ ჯგუფში ორ კონტინენტს შორის ბალანსით ევროპელები არიან წინ — 2:1 (ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა). უპირატესობა მეორე ჯგუფშიც ევროპის მხარეზეა — 1:0 (ერთმა ბრძოლამ აქაც ვერ გამოავლინა უძლიერესი). სამაგიეროდ, მესამე ჯგუფში ლათინური ამერიკის უპირატესობა უდავოა — 3:0. მეოთხე ჯგუფში ანგარიში თანაბარია — 1:1. მაშ ასე, ევროპამ ჯგუფურ ტურნირებში 4 შეხვედრა მოიგო, ლათინურმა ამერიკამ კი ხუთი (ორი ბრძოლა ფრედ დამთავრდა). მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა უკეთესი აქვს ევროპას — 14:13.

გთავაზობთ ორი კონტინენტის ფეხბურთელთა ბრძოლის შედეგებს.

ევროპა	ლათინური ამერიკა	შედეგი
სსრ კავშირი	სალვადორი	2:0
ბელგია	სალვადორი	3:0
ბელგია	მექსიკა	0:1
შვეცია	ურუგვაი	1:0
ჩეხოსლოვაკია	ბრაზილია	1:1
ინგლისი	ბრაზილია	0:1
რუმინეთი	ბრაზილია	2:3
გფრ	პერუ	3:1
ბულგარეთი	პერუ	2:3
სსრ კავშირი	მექსიკა	0:0
იტალია	ურუგვაი	0:0
სულ 4	5	14—13

დავა ორი მატერიკის ფეხბურთელთა შორის ჯერ არ დამთავრებულა. წინაა გადამწყვეტი მატჩები, რომლებმაც საბოლოო პასუხი უნდა გასცენ შეკითხვას: ევროპა თუ ლათინური ამერიკა?

ფინალი, 14 ივნისი — ½ ფინალი, 17 ივნისი — ფინალი, 21 ივნისი — მსოფლიო ჩემპიონი



მატჩი III ადგილისთვის

20 ივნისი





ამჯერად — მეოთხედფინალში

ეს სურათი გადაღებულია 4 წლის წინ, ოქროს ჭაღლმერთისათვის ბრძოლის გადამწყვეტ მატჩში. მაშინ, როგორც გახსოვთ, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და გფრ-ის გუნდები — დღევანდელი მეოთხედფინალისტები. სურათზე აღბეჭდილია გერმანელი ვებერის (მარცხნივ) მეორე გოლი, რომელმაც გაათანაბრა ამ დრამატული შეხვედრის ანგარიში (2:2). წინა ჩემპიონატის ფინალის მონაწილეთა უმრავლესობა დღესაც თამაშობს მექსიკოში (ზემოთ — მარცხნიდან მეორე, შნელინგერი და ინგლისელთა მეკარე ბენქსი).

ცისფერ ეკრანს მიღმა

საკონტროლო მონიტორები და ტელეფონები, — აი, მთელი აპარატურა ცენტრალური ტელევიზიის სტუდიის ინტერვიუირის კაბინეტში. აქ ჩვენი ტელევიზიისა და სხვა ქვეყნების სტუდიების მუშაობის კოორდინირება ხდება. ტელეფონებით დამყარებულია სადღეღამისო კავშირი შეჭისკასა და პრაღასთან. მორიგე ინჟინერ გ. ვისოცკისთან ერთად ვუცდით ღამის პირველ საათს (მოსკოვის დროით), როცა გვადალახარაში ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრა დაიწყება.

ეს მატჩი მაშინვე არ გადაიცემა ეთერში. მას ცენტრალური სააპარატოს მეშვეობით გადასცემენ მაგნიტური ჩაწერის № 2 სააპარატოში. ცვლის უფროსი ლ. დენისოვი, ინჟინერები ლ. ბაზუნოვი და ვ. სილაევი აპარატურას აწყობენ და თან ინგლის—რუმინეთის გუნდების შეხვედრაზე საუბრობენ, რომელიც წინაღამით ჩაიწერეს... მაგნიტური ჩაწერის ფირი ჩვეულებრივ მაგნიტოფონის ფირს ჰგავს, ოღონდ უფრო ფართოა (50,8 მილიმეტრი). ამასთან, იგი იწერს არა მარტო ხმას, არამედ ელექტრულ სიგნალებსაც, რომლებიც შემდგომ ტელეეკრანებზე აისახებიან.

ზუსტად შუაღამისას საკონტროლო მონიტორის ეკრანზე ინტერვიუირის ემბლემა ჩანს. 00 საათსა და 45 წუთზე კომენტატორ ნიკოლოზ ოზეროვის ნაცნობი ხმა გვესმის: „ალო, გამარჯობათ!" „სალამი, ნიკოლაი, ნიკოლაევიჩ! — უპასუხებს მას მიკროფონში ცენტრალური ტელევიზიის სპორტის განყოფილების გამგე მ. აბულხაკოვი. — ხმა ნორმალურად ისმის!". „მაშ ასე, — განაგრძობს ოზეროვი, — არ დაგავიწყდეთ, რომ მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მე რადიოსთვისაც დავიწყებ რეპორტაჟს". „თქვენ კი არ დავიწყოთ და სპორტული დღეურისთვისაც გადმოგვცით რამე..." — უპასუხებს მოსკოვი.

00 საათსა და 50 წუთზე მონიტორის ეკრანებზე გვადალახარას ტრიბუნების პანორამა ჩანს. მინდორზე ფეხბურთელები გამოდიან. „30 წამის შემდეგ ვიწყებ", — გვაფრთხილებს ოზეროვი.

16 საათზე მექსიკის დროით და პირველ საათზე მოსკოვის დროით გვესმის: „ყურადღება! ლაპარაკობს და უჩვენებს გვადალახარა!"

— როგორ ხორციელდება ტექნიკურად ტელეგადაცემა მექსიკიდან ევროპის კონტინენტზე? — ვკითხე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის ტექნიკური სამმართველოს უფროსის მოადგილეს ვ. ბარაევს.

— მეხიკო და მექსიკის სამი სხვა ქალაქი (მეხიკოს საშუალებით) გამოსახულებას მიწისზედა სატელევიზიო არხით გადასცემენ კოსმოსურ სადგურს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია მოწყობილი. იქიდან გამოსახულების სატელევიზიო სიგნალები დედამიწის კავშირგაბმულობის ორ ხელოვნურ თანამგზავრს გადაეცემა (თითოეულს თითო პროგრამა ეძლევა). თანამგზავრები სიგნალებს გადასცემენ შიდღებ კოსმოსურ სადგურებს გფრ-სა და ინგლისში. აუცილებლობის შემთხვევაში ამ სადგურებზე ამერიკის სატელევიზიო სტანდარტები ევროპულად გადაკეთდება ხოლმე. სსრ კავშირის ცენტრალურ ტელევიზიას სიგნალების მიღება შეუძლია პრაღიდან, ბერლინიდან და ჰელსინკიდან.

— როგორ გადმოიცემა კომენტარები და რადიორეპორტაჟი სტადიონებიდან?

— ნიუ-იორკიდან — ლონდონში, ტრანსატლანტიკური კაბელის დახმარებით, იქიდან კი პირდაპირ მოსკოვში.

— შეიძლება თუ არა მეხიკოდან ფერადი გამოსახულების მიღება?

— შეიძლება. სხვათა შორის, ბრაზილიისა და ინგლისის მატჩი ფერადი ტელევიზიით გადაიცემა.

გ. ვარძელაშვილი.
(„ნედელია", 23).

დღეს

ცისფერ ეკრანებზე ნახავთ მეოთხედფინალურ შეხვედრას. სსრ კავშირი—შრუგვაი. ამ მატჩის ტელერეპორტაჟი დაიწყება 21 ს., 50 წ.

ხვალ

ცისფერ ეკრანებზე ნახავთ კიდევ ერთ-ერთ მეოთხედფინალურ შეხვედრას. 20 ს., 30 წ. (ჩანაწერი).



● ნ. სიმონიანი ერთადერთი საბჭოთა სპეციალისტია, რომელმაც ნახა ურუგვაის ნაკრების ყველა მატჩი. მან ყველაფერი იცის საბჭოთა ნაკრების მომავალ მეტოქეთა შესახებ. მეხიკოდან 20 კილომეტრით დაშორებულ ეროვნული პარკის ერთ-ერთ ხეივანში საბჭოთა ფეხბურთელებმა კარგად დაისვენეს, საკუთარი ძალებით მომზადებულ მწვადებს შეექცნენ, მოისმინეს სიმონიანის საუბარი და ჩაატარეს მსუბუქი ვარჯიში.

● წინასწარი თამაშების ექიმ მოაღწია მექსიკის დედაქალაქამდეც. ბელგიის ყველა გაზეთი ერთხმად აცხადებს, რომ მექსიკის ნაკრებისთვის ფანტასტიკური საჩუქარი იყო არგენტინელი მსაჯის მიერ დანიშნული 11-მეტრიანი საჯარიმო. „ჩვენი ფეხბურთელები დაამარცხა მსაჯმა და არა მექსიკის გუნდმა," — წერს ბელგიური გაზეთი „სპორტი".

● როუზის მითითებით ფიფა-ს მსაჯთა კომისია, იკვლევს მსაჯთა მოქრთამვის თაობაზე შემოსულ წერილებს. ამის გამო როუზი იძულებული შეიქნა ჩასულიყო პუებლაში, სადაც უნდა ეთამაშათ შვეიცისა და ურუგვაის ფეხბურთელებს. პრეზიდენტმა გამოიძახა მატჩის მსაჯი, ბრაზილიელი ა. დემორაისი და ჰკითხა: „სწორია თუ არა, რომ ერთ-ერთმა მხარემ შეგაძლიათ 100 ათასი პესო?" ბრაზილიელ მსაჯს გული მოუვიდა: „მე პატიოსანი კაცი ვარ, თუ გეეჭვებათ ჩემი გულწრფელობა, უარს ვამბობ ამ მატჩის მსაჯობაზე".

ჯველა გოლი

ჯგუფურ ტურნირებში სულ 61 გოლი გავიდა. ეს სამი ბურთით უფრო მეტია ვიდრე 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში.

ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები აღმოჩნდნენ IV ჯგუფში (გფრ, პერუ, ბულგარეთი, მაროკო). მათ მეტოქეთა კარი 24-ჯერ აიღეს. ინგლისში ყველაზე შედეგიანი იყო III ჯგუფი (პორტუგალია, უნგრეთი, ბრაზილია, ბულგარეთი), სადაც სულ 21 ბურთი გავიდა.

ყველაზე სუსტი თავდასხმა აღმოაჩნდათ II ჯგუფის გუნდებს (იტალია, ურუგვაი, შვეიცია, ისრაელი). მათ მხოლოდ 6-ჯერ შეძლეს მეტოქეთა „შეწუხება". ინგლისში ყველაზე სუსტად ითამაშეს I ჯგუფის თავდამსხმელებმა — 9 გოლი (ინგლისი, ურუგვაი, საფრანგეთი, მექსიკა).

მეხიკოში ჯგუფურ ტურნირებში ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გფრ-ს ფეხბურთელებმა, რომლებმაც 10 ბურთი გაიტანეს. ინგლისში ჯგუფური ტურნირების შემდეგ ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ჰყავდა პორტუგალიას — 9 გოლი.

IX მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე სუსტი თავდასხმა ჰყავს სალვადორს, რომელმაც ვერც ერთხელ ვერ აიღო მეტოქეთა კარი. ინგლისში სამმა გუნდმა — მექსიკის, შვეიცარიისა და ბულგარეთის კოლექტივებმა გაიტანეს თითო გოლი.

გთავაზობთ მექსიკისა და ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატების სნაიპერთა შედარებით ცხრილებს (ჯგუფური ტურნირების შემდეგ):

IX ჩემპიონატი

გფრ	10
ბრაზილია	8
პერუ	7
სსრ კავშირი	6
მექსიკა	5
ბულგარეთი	5
ბელგია	4
რუმინეთი	4
ურუგვაი	2
შვეცია	2
ინგლისი	2
ჩეხოსლოვაკია	2
მაროკო	2
იტალია	1
ისრაელი	1
სალვადორი	0

VIII ჩემპიონატი

პორტუგალია	9
უნგრეთი	7
გფრ	7
სსრ კავშირი	6
ინგლისი	4
არგენტინა	4
ბრაზილია	4
ესპანეთი	4
კსდრ	2
იტალია	2
ჩილი	2
ურუგვაი	2
საფრანგეთი	2
მექსიკა	1
შვეიცარია	1
ბულგარეთი	1

და კიდევ IX მსოფლიო ჩემპიონატის ყველა გოლისა და მათი ავტორების შესახებ:

7 გოლი — მიულერი (გფრ), 4-4 გოლი— ბიშოვეცი (სსრ კავშირი), კუბილასი (პერუ), ჟაირზინიო (ბრაზილია), 3 გოლი — პელე (ბრაზილია), 2-2 გოლი — ვან მური, ლამბერტი (ორივე — ბელგია), ზელერი (გფრ), პეტრაში (ჩეხოსლოვაკია), დუმიტრაკე (რუმინეთი), ვალდივია (მექსიკა), 1-1 გოლი — დერმენჯიევი, ბონევი, ნიკოდიმოვი, კოლევი, ეჟოვი (ყველა — ბულგარეთი), გალიარდო, ჩუმპიტასი, ჩალე (ყველა — პერუ), მანეირო, მუიკა (ორივე — ურუგვაი), ჰერსტი, კლარკი (ორივე — ინგლისი), ხუმანი, მახუბი (ორივე — მაროკო), რიველინო (ბრაზილია), დომენგჰინი (იტალია), ასათიანი, ხმელნიცკი (ორივე — სსრ კავშირი), ნიაგუი, დემბროვსკი (ორივე — რუმინეთი), ფრაგოსო, ბასაგურენი, პენია (ყველა — მექსიკა), ლიბუდა (გფრ), ტურესონი, გრანი (ორივე — შვეცია), შპიგლერი (ისრაელი).

პრიგიორები

როგორც ვიუწყებოდით ბერლინში დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდაოების ევროპული ჩემპიონატი. იგი ალბინშნა სსრ კავშირისა და ბულგარეთის ათლეტთა აშკარა უპირატესობით. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში მათ გარდა მონაწილეობა მიიღეს გდრ-ის, თურქეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და შვეიცის მოჭიდაოებმა. აი, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები:

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
სსრ კავშირი	4	3	0
ბულგარეთი	4	1	3
თურქეთი	1	2	1
გდრ	1	1	1
უნგრეთი	0	2	1
რუმინეთი	0	0	3
შვეცია	0	1	0
იუგოსლავია	0	0	1

ახლა კი გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა ვინაობას:

48 კგ. 1. რ. გაჭიევი (სსრ კავშირი), 2. ი. მოობუსი (გდრ), 3. ა. ლუტკა (უნგრეთი).

52 კგ. 1. ბ. ბაევი (ბულგარეთი), 2. ა. რლზა (თურქეთი), 3. პ. ჩერნეუ (რუმინეთი) ...6. გ. დმიტრიევი (სსრ კავშირი).

57 კგ. 1. მ. ხავოვი (ბულგარეთი), 2. პ. მალიანი (სსრ კავშირი), 3. ჰ. ჭარამანი (თურქეთი).

62 კგ. 1. ე. ტოდოროვი (ბულგარეთი), 2. ვ. მარკელოვი (სსრ კავშირი), 3. პ. კომანი (რუმინეთი).

68 კგ. 1. ი. ჰუსეინოვი (ბულგარეთი), 2. ი. რუსნიაკი (უნგრეთი), 3. ხ. სალი (იუგოსლავია).

74 კგ. 1. ზ. ბერიაშვილი (სსრ კავშირი), 2. ი. კარლსონი (შვეცია), 3. ა. პეტროვი (ბულგარეთი).

82 კგ. 1. ს. შტოტმაისტერი (გდრ), 2. ი. ილიევი (ბულგარეთი), 3. ვ. იორგა (რუმინეთი), ...6. ლ. თედიაშვილი (სსრ კავშირი).

90 კგ. 1. ბ. გურევიჩი (სსრ კავშირი), 2. კ. ბაიკო (უნგრეთი), 3. რ. ახმედოვი (ბულგარეთი).

100 კგ. 1. ა. აიიკი (თურქეთი), 2. ი. იარიგინი (სსრ კავშირი), 3. ვ. ტოდოროვი (ბულგარეთი).

მძიმე. 1. ლ. კიტოვი (სსრ კავშირი), 2. გ. იილმაზი (თურქეთი), 3. პ. გერმერი (გდრ).

უმეღავათო ბრძოლები

მოსკოვი, 13 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). როგორც ვიუწყებოდით, დევისის თასის გათამაშების ევროპული „ბ" ზონის ნახევარფინალური მატჩის პირველ დღეს გაიმართა ერთეულთა ორი შეხვედრა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებს შორის. პირველი დღის შემდეგ ანგარიში იყო 1:1.

და აი, გუშინ ჩატარდა წყვილთა შეხვედრა. ბრძოლა თავიდანვე მწვავედ წარიმართა. საბჭოთა სპორტსმენებმა ა. მეტრეველმა და ს. ლიხაჩოვმა პირველი ხელი ძალიან ძნელ ბრძოლაში მოიგეს — 8:6. ამის შემდეგ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. ზედიზედ ორი ხელი ერთობ იოლად მოიგეს ჩეხოსლოვაკიელებმა — ი. კოდეშმა და ი. კუკალმა — 6:1, 6:2. ცოტა ხანს შესვენების შემდეგ ჩოგბურთელებმა განაახლეს თამაში. ამჯერად ბრძოლა ერთობ უშეღავათო გამოდგა. საბოლოოდ საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს — 8:6, 6:4.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2:1 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ. ჩასატარებელი დარჩა ერთეულთა ორი შეხვედრა. საკმარისია საბჭოთა ნაკრებმა აქედან ერთი ორთაბრძოლა მოიგოს, რომ ზონის ფინალის საგზური განაღდებული ექნება.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ეშვილობის ტრაღიციული...

სულ ახლახან დამთავრდა მშვიდობის XXIII ველორბოლა. ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის უინტერესო არ იქნება გაიხსენონ მშვიდობის ყველა ველორბოლის ზოგიერთი მონაცემი: ჩატარების წელი, ეტაპთა რაოდენობა, ტრასის სიგრძე კილომეტრებში, მოასპარეზე გუნდების რიცხვი, გამარჯვებულები პირად და გუნდურ ჩათვლაში.

1948	5	872	10	პროსინეკი (იუგოსლავია)	პოლონეთი
	7	1104	7	ზორიჩი (იუგოსლავია)	პოლონეთი
1949	8	1259	18	ვესელი (ჩეხოსლოვაკია)	საფრანგეთი
1950	9	1495	12	ემბორგი (დანია)	ჩეხოსლოვაკია
1951	9	1485	12	ოლსენი (დანია)	ჩეხოსლოვაკია
1952	12	2132	16	სტილი (დიდი ბრიტანეთი)	დიდი ბრიტანეთი
1953	12	2232	16	პედერსენი (დანია)	გდრ
1954	13	2043	19	დალგორდი (დანია)	ჩეხოსლოვაკია
1955	13	2214	18	შური (გდრ)	ჩეხოსლოვაკია
1956	12	2213	24	კრულიაკი (პოლონეთი)	სსრ კავშირი
1957	12	2312	14	ხრისტოვი (ბულგარეთი)	გდრ
1958	12	2204	20	დამენი (ჰოლანდია)	სსრ კავშირი
1959	13	2057	18	შური (გდრ)	სსრ კავშირი
1960	13	2290	20	ჰაგენი (გდრ)	გდრ
1961	13	2409	15	მელიხოვი (სსრ კავშირი)	სსრ კავშირი
1962	14	2413	20	ხაიდუუნინი (სსრ კავშირი)	სსრ კავშირი
1963	15	2539	19	ამპლერი (გდრ)	გდრ
1964	14	2238	15	სმოლიკი (ჩეხოსლოვაკია)	გდრ
1965	15	2315	17	ლებედევი (სსრ კავშირი)	სსრ კავშირი
1966	15	2337	17	გიუიო (საფრანგეთი)	სსრ კავშირი
1967	16	2233	20	მაესი (ბელგია)	პოლონეთი
1968	16	2352	18	პეშელი (გდრ)	პოლონეთი
1969	15	1941	14	დანგიომი (საფრანგეთი)	გდრ
1970	15	1973	15	შურკოვსკი (პოლონეთი)	პოლონეთი



შენიშვნა. ასკ-ს სტადიონი. დღეს. საქართველოს პირველობა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). დასაწყისი 15 ს. ასკ (თბილისი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი). დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 10 უე 03283